



MES 2 21 0001393341



20/12/2021

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2021 წლის 6 დეკემბერი.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

**ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);

**თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

**თამარ ვეფხვაძე** - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

**ლელა სალაყაია** - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი;

**ივანე აბაშიძე** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

**გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;

**დავით ბოსტოლანაშვილი** - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;

**ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

**იური მღებრიშვილი** - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

**აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;

**ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

**მორის შალიკაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის "კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის" სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

**მარინა ქორიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;

**ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

**დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ლაშა მარგიშვილი** - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

**ნიკა ფარჯანაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**თამარ აფრასიძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**ნინო ალაგაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ნინო გულიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს პეტრე შოთაძის თბილისის სამედიცინო აკადემია:**

- ირინე შოთაძე - რექტორი;
- მარიამ ჯაში - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
- ეკატერინე კლდიაშვილი - ვიცე-რექტორი კვლევის მიმართულებით;

- ცოტნე სამადაშვილი - ვიცე-რექტორი განათლების მიმართულებით;
- ლევან ავალიშვილი - ვიცე-რექტორი ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით;
- ნინო კვეცნაძე - მედიცინის სკოლის დეკანი;
- ცისანა ლომაშვილი - ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- მაია ზარნაძე - ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
- თამარ გაიხარაშვილი - MD პროგრამის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის ჯგუფის ხელმძღვანელი.

#### **შპს საქართველოს უნივერსიტეტი:**

- კონსტანტინე თოფურია - რექტორი;
- სოსო გოგილიძე - პრორექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- არჩილ ჯანგირაშვილი - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
- ჯონი მწარიაშვილი - ავტორიზაციის განყოფილების უფროსი;
- ქეთევან გეგიაძე - საერთაშორისო აკრედიტაციების განყოფილების უფროსი;
- ლუკა ბერაია - შიდა მონიტორინგის სამსახურის უფროსი.

#### **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):**

##### **შპს პეტრე შოთაძის თბილისის სამედიცინო აკადემია:**

- ია ფანცულაია;
- ჯილდა ჭეიშვილი;

##### **შპს საქართველოს უნივერსიტეტი:**

- ირინა ლობჯანიძე;
- ნინო ამირანაშვილი;
- ციცინო თურქაძე;
- ნანი ყავლაშვილი;
- ანჟელა აბულაძე.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 15:02 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

#### **საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

**დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი:**

1. შპს პეტრე შოთაძის თბილისის სამედიცინო აკადემიის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

1. **პირველი საკითხი:** შპს პეტრე შოთაძის თბილისის სამედიცინო აკადემიის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ, განაცხადა, რომ 2021 წლის 21–22 სექტემბერს ჩატარდა შპს „შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის“ მონიტორინგი რომლის ფარგლებში შემოწმდა მე-3 და მე-6 სტანდარტი. 21 სექტემბერს ადგილზე განხორციელდა ინსტიტუციის მატერიალურ–ტექნიკური ბაზისა და 2 კლინიკური ბაზის დათვალიერება. 22 სექტემბერს დისტანციურად ელექტრონული რესურსების გამოყენებით ჩატარდა ინტერვიუება. ვიზიტის დროს შეხვედრა გაიმართა თსა–ს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარესთან, რექტორთან, ადმინისტრაციულ და აკადემიურ, სამეცნიერო

პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან. გამოიკვეთა, რომ ინსტიტუცია აქტიურად მუშაობდა და სრულიად ითვალისწინებდა რეკომენდაციებს. მან განმარტა, რომ დაწესებულების მიერ შესრულდა ავტორიზაციის პროცესში გაცემული ყველა რეკომენდაცია,

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დახვდა შესრულებული რეკომენდაციები, გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის კლინიკური კომპონენტების კუთხითაც, პროგრამის ნაწილში იყო გარკვეული გაუმჯობესებული მხარეები ინტეგრაციის კუთხით. მან მადლობა გადაუხადა დაწესებულებას იმ გარემოსთვის, სტუდენტების მხარდაჭერის სერვისისთვის, სამეცნიერო კომპონენტებისა თუ კლინიკური კომპონენტების სწავლებისა და მონიტორინგის კუთხით, რომელიც დახვდათ იმ სამეცნიერო ბაზებში, სადაც იყვნენ.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინე შოთაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფსა და ცენტრს, რადგან მათვის ეს პროცესი ინსტიტუციური განვითარებისთვის ძალიან სასარგებლო/მნიშვნელოვანი იყო, 2018 წელს ავტორიზაციის პროცესში მიიღეს ფასეული/მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, პროგრამისა და კვლევის მიმართულებით, გააუმჯობესეს ბევრი ასპექტი და ისევე აგრძელებდნენ გაუმჯობესების/მუშაობის პროცესს, რადგან მათთვის ცნობილი იყო, რომ ინსტიტუციური განვითარება არასდროს ჩერდებოდა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცესები დიდ დროს მოიცავდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათი განვითარებისთვის.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**

საბჭოს წევრებს შეკითხვები და მოსაზრებები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეტრე შოთაძის თბილისის სამედიცინო აკადემიაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 15

წინააღმდეგი: 0

### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 06 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103 - ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (ს/კ:204861961) ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

**2. მეორე საკითხი:** შპს საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინა ლობჯანიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების შეფასება „შეესაბამება/არ შეესაბამება სტანდარტებს“ სახით გაუჭირდა ექსპერტთა ჯგუფს. ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით დაწესებულებას საქართველოს უნივერსიტეტს 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია, 1 წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით, აღნიშნული ავტორიზაციის ფარგლებში სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრა 8000 სტუდენტი, თმცა შემდეგ ცენტრში შევიდა საქართველოს უნივერსიტეტის განახადი, რომლის მიხედვითაც, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის ველში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა და 8000-ის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 12000 სტუდენტი აღნიშნულმა გამოიწვია, ავტორიზაციის ზემოთხსენებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრა 8000, თუმცა მითითებული უნდა ყოფილიყო 12000. სტუდენტების აღნიშნული რაოდენობა უნდა დამატებულიყო გეგმიურად. ინტერვიურების პროცესსა და ვიზიტის დროს, დააწესებულების წარმომადგენლები ადასტურებდნენ აღნიშნულ ინფორმაციას და ვიზიტის განმავლობაში არაერთხელ იყო საუბარი აღნიშნულ ფაქტზე, სტუდენტთა ქვოტის 12000-მდე გაზრდა

ნამდვილად არ გულისხმობდა უკვე არსებულ 8000 სტუდენტზე 4000-ის დამატებას, თუ ეს იქნებოდა ასე, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განხილვის საკითხის ფარგლებში მარტივი იქნებოდა, თუმცა ეს ასე არ გახლდათ. სტუდენტთა რაოდენობის 12000-მდე გაზრდა გულისხმობდა თანმიმდევრულ ზრდას აკადემიური წლების მიხედვით, აღნიშნული ზრდა ფარავდა პერიოდს 2000 წლიდან 2028 წლამდე, მოიცავდა საერთაშორისო და ადგილობრივი სტუდენტების რაოდენობის ზრდის კოეფიციენტებს, გაწერილი იყო უნივერსიტეტის სტრატეგიის დოკუმენტსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაში. ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 11, 12 და 13 ოქტომბერს დისტანციურ/ჰიბრიდულ ფორმატში. შეფასების ფარგლებში zoom პროგრამის მეშვეობით შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პრეზიდენტთან და რექტორთან, აკადემიური და რექტორის საბჭოების წარმომადგენლებთან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, სკოლის დირექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან. ექსპერტებმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს როგორც დისტანციურად zoom პროგრამის მეშვეობით, ასევე ადგილზე მისვლით. ვიზიტის დროს მოხდა საქართველოს უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის დათვალიერება შემდეგ მისამართებზე: კოსტავას #77, კოსტავას #77ა და გოთუას #3. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ - „ნიუ ჰოსპიტალი“ და „საერთაშორისო სტომატოლოგიური ცენტრი“. დასასრულს, დაწესებულების და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები/რეკომენდაციები. მისი თქმით, განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ინსტიტუცია მზად არის სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის მისაღებად ამ რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის ფარგლებში, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით (8000-ზე მეტი სტუდენტი 2024 წლიდან და 12000 სტუდენტი 2027 წლისათვის), სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნებისა და ქვემიზნების ეფექტური შესრულების შემთხვევაში.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის, რადგან ძალიან ნაყოფიერი იყო მათი მუშაობა დაწესებულებაში. მან განმარტა, რომ საუბარი იყო ტექნიკურ ხარვეზზე, ჯერ კიდევ ზაფხულში, როდესაც დაწესებულებამ მიიღო ავტორიზაცია, საბჭოს ოქმიც მოწმობდა, რომ იყო მზაობა, რომ უნივერსიტეტს მიეღო ქვოტა, რომელზეც საუბარი იყო. მიმდინარე პროცესი, შეთანხმებული იყო ცენტრთანაც იმ ხარვეზის გამოსწორების საკითხი, დაწესებულებისთვის დიდი მნიშვნელობაჰქონდა ამის შეხსენებას, რადგან საბჭო მზად იყო დაწესებულებისთვის მიენიჭებინა 12000 კვოტა. მისი თქმით ავტორიზაცია, ისეთი საკითხია რაც არ უნდა ბევრმა ადამიანმა შეავლოს თვალი უფრო მეტი დეტალი გამოიკვეთება, რეკომენდაციების დიდი ნაწილი დაწესებულებას უნდა გაეთვალისწინებინა, რადგან მათ ჰქონდათ ვალდებულება 1 წლის განმავლობაში წარედგინათ ანგარიში. რეკომენდაციათა უმეტესობა ეტაპობრივია და დროთა განმავლობაში უნდა გაგზავნილიყო შეფასებისთვის, რაც შეეხებოდა სტუდენტთა რაოდენობის ეტაპობრივ გაზრდას, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა. რომ ინფრასტრუქტურა შესაბამისობაში იყო, ასევე არსად არ მიუთითებიათ, რომ უნივერსიტეტს არ შეეძლო 12000 კვოტით გაეზარდა სტუდენტთა რაოდენობა. ეტაპობრივი გაზრდის შესახებ მან განაცხადა, რომ გამომდინარეობდა დაწესებულების სტრატეგიული გეგმიდან, საბჭოსთვის ცნობილი იყო, თუ როგორ იწერებოდა, როდესაც დამზადდა სტრატეგიული გეგმა, რაღაც პერიოდთან მიმართებაში, რა როგორ უნდა განვითარებულიყო, ინფრასტრუქტურა, მიზნები, ამოცანები, როგორ უნდა მოსულიყო შესაბამისობაში ამ მიმართულებით იყო ნათქვამი, რომ სტუდენტთა

რაოდენობა უნდა გაზრდილიყო ეტაპობრივად, მაგრამ ეს არ უშლიდა დაწესებულებას მიეღო 12000 კვოტა და ჰქონოდა ლავირების შესაძლებლობა იმ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, რომელიც ჰქონდა სხვადასხვა პერიოდში. მისი თქმით, თუკი საბჭო მიანიჭებდა 12000 სტუდენტის მიღების შესაძლებლობას, მეორე დღესვე 12000 ადამიანს ვერ ჩარიცხავდნენ, ეს შეეწინააღმდეგებოდა, როგორც შიდა ნორმატიულ აქტს, ასევე 224-ე ბრძანებას, ამას სჭირდებოდა დრო და 12000-ის საშიშროება, რაც ექსპერტებს ჰქონდათ, მეორე დღესვე შევსების, პრობლემა არ იყო, მეორე მხრივ, რომ შევსებულიყო, მთავარი იყო დაწესებულებას დაეკმაყოფილებინა ის რესურსები, რომლებიც შესაბამისობაში იყო მოთხოვნილ რაოდენობასთან, მის შესაბამისობას ადასტურებდა ჯერ კიდევ ზაფხულის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილება, სადაც უცხოელი ექსპერტებიც იყვნენ ჩართულნი, მათ შორის საბჭოს მხრიდანაც იყო მზაობა, არც უცხოელი ექსპერტების დასკვნაში ყოფილა საუბარი, რომელიმე კომპონენტის არასაკმარისობის შესახებ, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით სრულიად სამართლიანად ითოვდნენ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდას.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ, განაცხადა, რომ როდესაც ავტორიზაციის საბჭომ იმსჯელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადზე, რომელშიც წარმოდგენილი იყო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 8000, ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილი იყო ემსჯელა, მხოლოდ წარდგენილ ზღვრულ რაოდენობაზე, საბჭოს წევრი დაინტერესდა სხდომის მომენტში არსებული მოცემულობით თუ რამდენად იყო დაწესებულება მზად 12000 სტუდენტის მომსახურებისთვის, მისი თქმით აღნიშნული არ შეიძლებოდა მოხსენიებული ყოფილიყო მცირე ხარვეზად, რადგან ავტორიზაციის საბჭომ იმსჯელა იმ რაოდენობაზე, რაც წარმოდგენილი ჰქონდა დაწესებულებას განაცხადში შესაბამისად იმ ავტორიზაციის პროცესში მსჯელობა მოხდა იმ რაოდენობასთან მიმართებით და დაინტერესდა, თუ რამდენად არის მოთხოვნილი რაოდენობა მხარდაჭერილი შესაბამისი რესურსებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ირინა ლობჯანიძის თქმით, როგორც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღინიშნა, მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინება, რომ 12000 სტუდენტის ერთდროულად მიღება აღ იგულისხმებოდა, არამედ განსაზღვრული დროის განმავლობაში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, პერსონალის აყვანისა და სტუდენტების ეტაპობრივი მიღების გზით დაგეგმილი იყო 2027-2028 წლებისთვის.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა თუ რა მდგომარეობა იყო სხდომის მიმდინარეობის მომენტში, რადგან ავტორიზაციის საბჭოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შესახებ, მოცემულ ეტაპზე, რის გამკლავება შეეძლო უნივერსიტეტს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინა ლობჯანიძემ, განმარტა, რომ დაწესებულებას მოცემულ დროს ჰქონდა რესურსი გამკლავებოდა დაახლოებით 10000 სტუდენტს, თუმცა არა 12000 სტუდენტს. ამასთან ეს იმას არ ნიშნავდა, რომ 12000 სტუდენტის მიღებას და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფას ვერ შეძლებდა 2027-2028 წლებში.

ექსპერტმა, ციცილო თურქაძემ, განაცხადა, რომ აღნიშნულ კითხვას ექსპერტთა ჯგუფმა გარკვეულწილად უპასუხა დასკვნაში. მოცემულ ეტაპზე დაწესებულება ამბობდა, რომ მას სტრატეგიულად რაც ჰქონდა გაწერილი სტუდენტთა რაოდენობის მიღებასთან დაკავშირებით, ამის შესაბამისი გეგმა/ხედვა, დაწესებულების სტრატეგის თანახმად არსებულ კვოტას 8000 სტუდენტს აღწევდა 2024 წლისთვის, ხოლო 2027 წლისთვის -12000 სტუდენტს. შესაბამისად, დაწესებულების მზაობა განხილვის მომენტში 12000 სტუდენტისათვის, თუკი იმსჯელებდნენ, იმ კუთხით, თუ როგორი ხედვა ჰქონდა უნივერსიტეტს, როგორ მიდიოდნენ მწყობრად, როგორ აკყავდა პერსონალი, როგორ ჰქონდა დაგეგმილი დამხმარე თუ აკადემიური პერსონალის აყვანა, ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლებოდა იმით თქმა, რომ დაწესებულებას



ჰქონდა შესაბამისი რესურსი, მექანიზმები, ხედვა, სტრატეგია გამკლავებოდა 12000 სტუდენტს, მის მიერ დადგენილი სტრატეგიის შესაბამისად. შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებების შედეგად ექსპერტთა ჯგუფს გაუჩნდა დაწესებულებისადმი ნდობის საფუძველი.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოლანაშვილმა, განმარტა, რომ საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა მიმდინარე მდგომარეობით და ეყრდნობოდა დასკვნას, საბჭო აღარ შეიკრიბებოდა აღნიშნული საკითხის განსახილველად 2024 ან 2026 წელს, ამიტომ მათთვის საინტერესო იყო ამ ეტაპზე არსებული მდგომარეობა, რადგან ჰიპოთეტურად შესაძლებელია დაეშვათ, რომ დაწესებულებას გაცილებით უფრო მეტად გაეზარდა თავისი რესურსები და 2027 წლისთვის 20000 სტუდენტის მიღების შესაძლებლობაც კი ჰქონოდა, ან შესაძლოა, ვერ უზრუნველყო, არ გაეზარდა შესაბამისი რესურსები და დარჩენილიყო იმ მდგომარეობაში, რომელზეც სხდომის მიმდინარეობისას იყო. სწორედ ამიტომ დაისვა აღნიშნული კითხვა. მისთვის გასაგები იყო სტრატეგიაში არსებული ჩანაწერი, რაც დადებითი ფაქტორი იყო. თმცა რეკომენდაციების შინაარსიდან გამომდინარე, შესაბამისი სტანდარტები შეფასებული იყო როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაში“. საბჭოს წევრი დაინტერესდა ექსპერტების შეფასების დროს რა მოცემულობა იყო, რადგან ჰიპოთეტურად შეიძლებოდა მიეღწია, ან არ მიეღწია დასახული მიზნებისთვის დაწესებულებას.

ექსპერტმა, ციცინო თურქაძემ, განაცხადა, რომ ნამდვილად, ჰიპოთეტურად შესაძლებელი იყო 20000 სტუდენტის მიღებაც, თუმცა უნივერსიტეტს ამისთვის უნდა ჰქონოდა მზაობაც, სტრატეგიაც. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან რთული იყო რამის თქმა, რადგან არასტანდარტული მოცემულობა იყო, მითუმეტეს, როდესაც დაწესებულება 12000 სტუდენტის მიღებას არ გეგმავდა შეფასების მომენტში, ერთიანად. ექსპერტმა მიმართა დაწესებულებას, თავად დაეფიქსირებინათ მოსაზრება, იყვნენ თუ არა მზად 12000 სტუდენტის მისაღებად.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოლანაშვილმა, განმარტა, რომ მისი კითხვა დაწესებულებასაც ეხებოდა. იგი ასევე დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით გაკეთდა.

ექსპერტმა, ციცინო თურქაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ამოვიდა არა მხოლოდ სტრატეგიული გეგმიდან, არამედ არსებული მდგომარეობიდანაც. მათ მეოთხე სტანდარტის აღწერაში მოყვანილი ჰქონდათ, თუ როგორი იყო დაწესებულების სამიზნე ნიშნულები, ფაქტობრივი მდგომარეობა ავტორიზაციის დროს, რა იყო მას შემდეგ, რაც კონტიგენტი გაიზარდა და რა საჭიროებები ედგა დაწესებულებას 12000 სტუდენტისათვის. ეს ყველაფერი ექსპერტთა ჯგუფმაც შეაფასა და დაწესებულებაც აფასებდა საკვანძო პარამეტრებსა და სამიზნე ნიშნულებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა კონსტანტინე თოფურიამ, მაღლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის. იგი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას. მისი თქმით, საბჭოს როდესაც საუბარია იყო, რომ დაწესებულებას სურდა მიეღო 12000 სტუდენტი, საბჭოს აინტერესებდა დაწესებულების ამჟამინდელი მდგომარეობა, მთავარი იყო იმის დადგენა, თუ რა პარამეტრებში იყო მზად და რაში არა. არსებობდა პარამეტრები, რომლებიც მარტივად მოგვარებადი იყო და რომელიც შედარებით რთულად. მაგ., ინფრასტრუქტურა შედარებით რთული მოსაგვარებელია, რადგან საჭიროებს შენობების აშენებას/მწყობრში მოყვანას და ა.შ., რაც შესაძლებელია გაიწელოს წლებზე. რაც შეეხება აკადემიურ კალენდარს შედარებით მარტივად მოსაგვარებელი საკითხი იყო. როგორც ექსპერტმაც აღწერა, ეს არის ზოგადად, უნივერსიტეტის დამოკიდებულება რაღაც საკითხებისადმი და თუ როგორ ხდებოდა პროცესები უნივერსიტეტში, იყო თუ არა ისე გამართული, რომ საჭიროების შემთხვევაში დაეკმაყოფილებინა აკადემიური რესურსი და სხვა. ამჟამად, უნივერსიტეტს ინფრასტრუქტურის საკითხი მოგვარებული ჰქონდა. ვინაიდან, ასრებული ინფრასტრუქტურა გათვლილი იყო 12000 სტუდენტზე, რისი დასაბუთებაც წარმოდგენილი იყო. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი გათვლილი იყო 6000 სტუდენტზე, ე.ი სტუდენტების არსებულ რაოდენობაზე. არ იქნებოდა გამართლებული დაწესებულებას უკვე ჰყოლოდა 12000

სტუდენტზე გათვლილი აკადემიური პერსონალი. ასეთი მენეჯმენტი უნივერსიტეტის მდგრადობასაც დააყენებდა ეჭვქვეშ. რაც შეეხებოდა სტუდენტების რაოდენობის თანმიმდევრულ ზრდას, განსაზღვრული იყო, და აღნიშნულია თუ რა თანაფარდობა უნდა ჰქონდოდა უნივერსიტეტს სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ. ამ თანაფარდობის პირობებში განსაზღვრული იყო აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის ზრდაც, რაც ექსპერტთა ჯგუფმაც აღნიშნა. ამ მიმართულებით დაწესებულებას გააჩნდა მწყობრი პროცესები, მენეჯმენტს ჰქონდა გამართული პროცედურა თუ როგორ ხდებოდა აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მორგება მზარდ საჭიროებებთან, განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით, სტუდენტების რაოდენობასთან, რა პროპორციით უნდა ყოფილიყო მოწვეული, მუდმივი აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი. უნივერსიტეტი წლების განმავლობაში ამ სტრატეგიით ახორციელებდა საქმიანობას. დაწესებულებას გააჩნდა მწყობრი ხედვა თუ როგორ და როდის უნდა მომხდარიყო სტუდენტების ზრდა, რაც დაკავშირებული იყო ახალი პროგრამების დამატებასთან, არსებულ პროგრამებზე სტუდენტთა კონტიგენტის შეცვლასთან და ა.შ., შესაბამისად განსაზღვრული იყო აკადემიური პერსონალის ზრდაც. ვერცერთი ეტაპისთვის უნივერსიტეტში ვერ იქნებოდა ისეთი მდგომარეობა, რომ აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაცილებით დიდი იყოს სტუდენტთა რაოდენობის საჭიროებაზე. გამოდის, რომ ვერასდროს, როდესაც არ უნდა შემოეტანათ სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მოთხოვნაზე განაცხადი, ამ პირობას ვერ დააკმაყოფილებდნენ, რადგან უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის რაოდენობა ყოველთვის იქნება იმის შესაბამისი რამდენი სტუდენტიც იმ დროისათვის იქნებოდა. 6000 სტუდენტის პირობებში დაწესებულებას რომ 12000 სტუდენტის შესაბამისი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჰყოლოდა, მაშინ უნდა გაჩენილიყო კითხვა, ასეთ პირობებში იყო თუ არა უნივერსიტეტის მენეჯმენტი გამართული და უნდა დამდგარიყო უნივერსიტეტის მდგრადობის საკითხი. ამიტომ დაწესებულებას ყველა ეტაპზე ეყოლებოდა იმდენი აკადემიური პერსონალი, რამდენიც შეესაბამებოდა სტუდენტთა რაოდენობას. მისი მოსაზრებით სწორი იქნებოდა მიდგომა, რომ შეეფასებინათ უნივერსიტეტი აკმაყოფილებდა თუ არა ისეთ პარამეტრებს, რომელსაც დიდი დრო სჭირდება გამოსასწორებლად, ამ შემთხვევაში დაწესებულებას აღნიშნული პრობლემა არ გააჩნდა, რადგან თუ დაწესებულება მიიღებდა 12000 სტუდენტს ისეთი პარამეტრები (ინფრასტრუქტურა და სხვა) რომელთა დაკმაყოფილება გრძელ ვადასთან იყო დაკავშირებული, უნივერსიტეტი აკმაყოფილებს, ისეთი პარამეტრები, კი რომელთა დაკმაყოფილება მოკლე პერიოდს უკავშირდებოდა, შესაძლებელია ამ მომენტში არ აკმაყოფილებდა და არც უნდა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ გააჩნდა შესაბამისი რესურსი/გამოცდილება და შეეძლო ნებისმიერ საჭირო მომენტში უზრუნველყო.

საბჭოს წევრის, მორის შალიკაშვილი დაინტერესდა, თუ საბჭო დააკმაყოფილებდა დაწესებულების მოთხოვნას მითვის გაუგებარი იყო თუ რა უშლიდა დაწესებულებას ხელს, რომ მომდევნო წელს, ან 2023 წლისთვის მიეღო 12000 სტუდენტი. საბჭოს წევრი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ჩატარებული ბაზრის კვლევა, იმ მიმართულებებზე სადაც სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობის დამატებას გეგმავდა. არსებობდა თუ არა კვალიფიციური პროფესორი ბაზარზე და შეეძლოთ თუ არა მათი მობილიზება დაწესებულებაში საჭიროების შემთხვევაში.

დაწესებულების წამომადგენელმა, კონსტანტინე თოფურიამ განმარტა, რომ ჩატარებული იყო ბაზრის კვლევები და ძირითადად სტუდენტთა კონტიგენტის ზრდა დამოკიდებული იყო უცხოელი სტუდენტების დამატების ხარჯზე. რაც შეეხება აკადემიურ სერურსს, რა თქმა უნდა დაწესებულებას გააზრებული ჰქონდა ამ საკითხის სირთულე, თუმცა რეალურად არ იყვნენ შეზღუდული უცხოელი პროფესორების მოწვევაში. რადგან საქართველოს უნივერსიტეტს ჰყავდა პროფესორები უცხოეთიდანაც, მათ სტრატეგიულ გეგმაშიც გათვალისწინებული იყო უცხოელი პროფესორის ჩამოყვანა. რეგიონის ქვეყნებიდან ადამიანებს ჰქონდათ საქართველოში მოღვაწეობის სურვილი, რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ტექნოლოგურ

მიმართულებებში ბელორუსიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან და სხვა, ძალიან მაღალი დონის პროფესურის ჩამოყვანა შეიძლებოდა. მაგ., Scopus-ში ციტირების ინდექსებით ევროპის უმაღლესი დონის პროფესურა, რომელიც ამ ქვეყნებში ცხოვრობდა, ჰქონდათ საშუალება საქართველოში ჩამოეყვანათ. სწორედ ეს იყო გათვალისწინებული სტრატეგიულ გეგმაში, როდესაც დაწესებულებაფიქრობდა სტუდენტთა რაოდენობის გაზრდაზე. ცალკე საკითხი იყო, ქვეყნის ეკონომიკისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ყოველივეს და ა.შ. ეს იქნებოდა უცხოური ვალუტის მოძრაობა საქართველოში, მთელი რიგი სკოლების გადარჩენა, რადგან ბაზარი ისეთი მცირე იყო სხვანაირად ვერ გადარჩებოდა. მათ შორის თუ არსებობდა სურვილი საბუნებისმეტყველო/საინჟინრო მიმართულებების გადარჩენის შესახებ, აუცილებელი იყო საერთაშორისო სტუდენტების ჩამოყვანა, ამასთანავე დაწესებულებას ჰყავდა ძალიან მაღალი დონის უცხოელი პროფესურა ჩამოყვანილი და ეს იყო მუდმივი პროცესი.

საბჭოს წევრმა, მარინაქორიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებში, ერთ-ერთი საკითხი ეხებოდა პრაქტიკის ბაზებს. როდესაც ასეთი აქცენტირებული იყო მედიცინის სტანდარტში პრაქტიკული კომპონენტის არსებობა და ძირითად სასწავლო კომპონენტს პრაქტიკის კლინიკებში უნდა გადიოდნენ ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტები, დაინტერესდა თუ როგორ ფიქრობდა დაწესებულება ამ მიმართულებით განვითარებას. გასაგები იყო, რომ ინფრასტრუქტურის ზრდა/განვითარება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადასაწყვეტი და დასარეგულირებელი იყო. კლინიკებთან მიმართებით, როგორ გეგმავდნენ აღნიშნული კომპონენტის განვითარებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე თოფურიამ განაცხადა, რომ სამედიცინო მიმართულებაზე სტუდენტების რაოდენობა მცირედით გაიზრდებოდა ვიდრე სხვა მიმართულებებზე. ამ მიმართულების სტუდენტებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კლინიკურ პრაქტიკას და რეალურად, სამედიცინოს სტუდენტების, დაახლოებით 600-დან 800-მდე გაზრდა იყო დაგეგმილი, რაც არ იყო დიდი ნახტომი და კლინიკური რესურსის რადიკალურ გაშლას არ მოითხოვდა. თუმცა უნივერსიტეტი აშენებდა კლინიკას და ასევე, აფორმებდნენ თანამშრომლობებს სხვადასხვა არსებულ კლინიკებთან. განსაზღვრული იყო რამდენიმე კლინიკა, რომლებიც გახდებოდა საქართველოს უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკები და ამ მხრივ კლინიკური ბაზების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზრდებოდა. დაწესებულებამ გაიარა გერმანული მაკრედიტებელი დაწესებულების აკრედიტაცია სამედიცინო პროგრამაზე, ახალი სტანდარტების გათვალისწინებით. 2022 წელს უწევდათ WFME-ს აკრედიტაცია. გერმანულ აკრედიტაციას უფრო მკაცრი კრიტერიუმები ჰქონდა ვიდრე WFME-ს. დაწესებულება აკმაყოფილებდა საჭირო მინიმალურ კლინიკურ პრაქტიკას, რის მნიშვნელოვან ზრდასაც გეგმავდნენ. სტომატოლოგიის შესახებ განაცხადა, რომ უფრო მარტივად ჰქონდათ საქმე, რადგან მათ ჰქონდათ თავისი სტომატოლოგიური კლინიკა და გარდა ამისა, გეგმავდნენ სტომატოლოგიური კლინიკის ქსელის გაფართოებასა და სტომატოლოგიური პრაქტიკის მნიშვნელოვნად საკუთარი კლინიკებით უზრუნველყოფას.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როდესაც საბჭო აკრედიტაციას ანიჭებდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ძირითადად ეყრდნობოდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული 7 სტანდარტიდან 6 ნაწილობრივ შესაბამისობად იყო შეფასებული. ამავდროულად პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მან აღნიშნა, რომ ეჭვი არ ეპარებოდა 2027 წელისთვის აღნიშნულ უნივერსიტეტს ექნებოდა კონტიგენტის მნიშვნელოვნად გაზრდის საშუალება, მაგრამ მიმდინარე სხდომაზე უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება აკმაყოფილებდა დაწესებულება სტანდარტის მოთხოვნებს და განსაზღვრავდნენ კვოტას 12000-მდე თუ არა. სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალება არ ჰქონდათ. მან სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს გარკვევით ეთქვოთ რისი საშუალება ჰქონდა უნივერსიტეტს. მხოლოდ იმის თქმა, რომ 2027 წლისთვის უნივერსიტეტი 12000 სტუდენტს შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფდა არ იყო საკმარისი. მიუხედავად იმისა, რომ მას სჯეროდა დაწესებულების შესაძლებლობის და მიესალმებოდა უცხოენოვანი პროგრამების აკრედიტაციას. რაც უფრო მეტი უცხოენოვანი

პროგრამა იქნებოდა ქვეყანაში ბევრი რამისთვის იქნებოდა კარგი. მისი მოსაზრებით, ყველაზე მწელი იყო მედიცინაში პროფესორების მოწვევა. ჩამოყვანის შემთხვევაში ის მხოლოდ ლექციას წაკითხავდა. რეალურად, ის კლინიკაში უნდა მუშაობდეს. ძალიან რთული იყო უცხოენოვანი სტუდენტების ბაზებზე განთავსება, რადგან აქ გამოწვევას წარმოადგენდა პერსონალის ენის ცოდნა და სხვა საკითხები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინა ლობჯანიძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა სტრატეგიის დოკუმენტი, სხვა დოკუმენტებთან ერთად, რომლებსაც დაწვრილებით გაეცნენ და ასევე დაათვალიერეს სხვადასხვა ობიექტები და ა.შ. დასკვნის მე-12 გვერდე გაწერილი იყო, რომ არსებული მდგომარეობა სრულ თანხვედრაში იყო სტრატეგიის დოკუმენტთან. რეალურად 2022-2023 წლებში სტუდენტთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო 6608, 2025-2026 წლებში - 9917, 2026-2027 წლებში - 10930 და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფი რეალურად ხელმძღვანელობდა სტრატეგიის დოკუმენტით. რაც შეეხება იმაზე საუბარს იქნებოდა თუ არა დაწესებულება 2027 წლისთვის მზად, ფასდებოდა კომპლექსურად და გადაწყვეტილებისთვის შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო დასკვნის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ინფრასტრუქტურას, მე-4 და მე-7 სტანდარტს, დაწესებულების პერსონალსა და მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს, რადგან ზემოაღნიშნული საკითხები დაწვრილებით იყო გაწერილი. მისი თქმით, რეალობა იყო ასეთი და ექსპერტთა ჯგუფს არ შეეძლო ზუსტად ეთქვა თუ რა იქნებოდა 2027 წელს, მისი მოსაზრებით აღნიშნული საჭიროებდა დამატებით მონიტორინგს ცენტრისგან, მაგრამ არც იმის უფლება ჰქონდათ ეჭვი შეეტანა დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აქ არ ყოფილა საუბარი ეჭვის შეტანაზე, საუბარი იყო იმაზე, თუ რას ნიშნავდა ამდენი ნაწილობრივი შეფასების ფონზე საბოლოო მტკიცება, რომ დაწესებულება შეძლებდა, რაზე პასუხიც ვერ მიიღო. თუმცა მისთვის გასაგები იყო, რომ დაწესებულება გეგმავდა ქვოტის ეტაპობრივად გაზრდას.

ექსპერტმა, ნინო ამირანაშვილმა, განმარტა, რომ უნივერსიტეტს არ ჰქონდა განცხადებული, რომ ამავე წელს ჰქონდა მზაობა ქვოტის 12000-მდე გაზრდისა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფმაც და დაწესებულების წარმომადგენლებმაც აღნიშნეს შესავალ ნაწილში. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაეფუძნა განვითარების გეგმას, რომელიც ჰქონდა უნივერსიტეტს და ასევე იმის შემოწმებას ამ განვითარებისკენ მიმავალ გზაზე სადა იყო უნივერსიტეტი, როდესაც სრულფასოვანი ავტორიზაციის დასკვნის ფორმა ივსებოდა, იძლეოდა საშუალებას გრადაცია ყოფილიყო უფრო ჩაშლილი და მეტად განემარტა ექსპერტს განვითარების რა დონეზე იყო უნივერსიტეტი და უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ექსპერტს გაეთვალისწინებინა განვითარების რა დონეზე იყო აქტივობები, ამ შემთხვევაში კი ექსპერტთა ჯგუფს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა, შესაბამისად ასახეს ის რეალობა, რაც დახვდათ უნივერსიტეტში, დასკვნის ფორმამ არ მისცა საშუალება უფრო მკვეთრი რეალობის განმარტებისა.

ექსპერტმა, ციცილო თურქაძემ, განაცხადა, რომ თუკი ეს საკითხი განხილული იქნებოდა ცენტრის მიერ და გაუმჯობესდებოდა არსებული დასკვნის ფორმა/მიდგომები, იქნებოდა ძალიან კარგი. რადგან ეს პრეცედენტი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ სხვაგვარად შეეფასებინათ და გამოეტანათ დასკვნა ხშირად, ანალოგიური პრობლემების დროს.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოლანაშვილმა, განაცხადა, რომ დასკვნის მე-12 გვერდზე, საუბარი იყო წლების მიხედვით გაზრდაზე, ასევე საუბარი იყო სასწავლო ფართის ოდენობაზეც, სადაც ექსპერტებს ეწერათ, რომ დაწესებულება სტუდენტისთვის 2 კვ.მ.-ზე ნაკლებს უზრუნველყოფდა, კერძოდ. 1.98 მ<sup>2</sup>, რაც დიდი სხვაობა არ იყო, თუმცა ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ ეს ფაქტი წინააღმდეგობაში იყო დაწესებულების შიდა მარეგულირებელთან, სტრატეგიულ გეგმასთან და სხვა დოკუმენტაციასთან. ამ თვალსაზრისით ეჭვს იწვევდა სტუდენტებისა და პროფესორების თანაფარდობა, ისიც, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნდა სააუდიტორიო ფართების ვირტუალური სივრცის ჩანაცვლების სტრატეგია პანდემიის შემდგომი პერიოდისთვის. საბჭოს წევრმა არნიშნა, რომ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება ვერ აკმაყოფილებდა თავის შიდა

მარეგულირებელ წესებს. საბჭოს წევრის თქმით, გასაგები იყო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელობა. მას არ მიაჩნდა, რომ დაწესებულებისთვის დღეს უნდა მოეთხოვათ ის რაც 6-7 წლის შემდეგ უნდა უზრუნველყოს, თუმცა იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ არსებობს გარკვეული კითხვები, თუნდაც ციფრებთან დაკავშირებით, რთული იყო კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინა ლობჯანიძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული გაწერილი იყო უნივერსიტეტის დოკუმენტაციაში, ეს იყო მინიმალური ზღვარი, რომელიც ფართის უზრუნველყოფის თვალსაზრისით უნდა ყოფილიყო. როგორც უკვე აღინიშნა, სტრატეგიულ დოკუმენტში უნივერსიტეტის მიმდინარე მდგომარეობა შეფასდა, როგორც 12000-ზე, რეალურად აღნიშნული კალკულაცია გულისხმობდა თუ რამდენად მზად იყო დაწესებულება 12000 სტუდენტის მისაღებად, ბუნებრივია არსებული მდგომარეობით სტანდარტული მ<sup>2</sup>-ების რაოდენობა, რომელიც დადასტურდა დაწესებულების შესწავლის დროს არ უზრუნველყოფდა აღნიშნულს, თუმცა უნივერსიტეტს ჰქონდა სტრატეგია, თუ როგორ აპირებდა ამ ყველაფრის გაუმჯობესებას 2027 წლისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა კონსტანტინე თოფურიამ, განმარტა, რომ დაწესებულებას ზუსტად ჰქონდა გაწერილი, მათ შორის კვ.მ.-ებთან დაკავშირებით და ზოგადად არ არსებობდა კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც თითოეულ სტუდენტზე საშუალოდ 2 მ<sup>2</sup>-ების. უნდა მოდიოდეს, ეს დაწესებულების შიდა რეგულაცია იყო და უკვე აკმაყოფილებდნენ. 12000 სტუდენტის მიღების შემთხვევაში, მათ გააჩნდათ იმხელა ინფრასტრუქტურა, რომ თითოეულ სტუდენტზე სასწავლო ფართი შესაბამისობაში იქნებოდა მოყვანილი. ეს იყო შიდა რეგულაცია, რომ მინიმალური სტანდარტი დაეკმაყოფილებინა დაწესებულებას, სახელმწიფო ასეთ რეგულაციას არ ითვალისწინებდა. მისი მოსაზრებით ეს არ იყო ისეთი დარღვევა, რომ ამის გამო სტანდარტი ვერ დაეკმაყოფილებინათ. ინფრასტრუქტურის სხვა ნაწილებს რაც შეეხება, დაწესებულება ყველა მათგანს აკმაყოფილებდა აკადემიური პერსონალის გარდა, რაც უკვე განიმარტა, რომ არ იქნებოდა მათი მხრიდან ეკონომიკურად მიზანშეწონილი და უნდა დამდგარიყო სხვა საკითხები ეჭვქვეშ. მან სთხოვა საბჭოს შიდა განხილვაზე მხედველობაში მიეღოთ საკითხი, რომ დაწესებულებას ჰყავდა 6000 სტუდენტი და 2-3 წლის მანძილზე არ გეგმავდა რადიკალურად გაზრდას და სტუდენტთა რაოდენობა დაეკმაყოფილებინათ ეტაპობრივად. მაგრამ რეალური პრობლემა იყო ის, რომ უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვისას სამინისტროს მიერ ირიცხებოდა დიდი რაოდენობით სტუდენტები, შემდეგ მათი რეალურ სტუდენტად ქცევა იყო გაცილებით მცირე. ჩარიცხული 1000 სტუდენტიდან მიდიოდა 200 მათგანი, რაც სხვადასხვა ფაქტორებით იყო განპირობებული. რაღაც ეტაპზე დაწესებულებას ჰყავდა გაცილებით უფრო მეტი სტუდენტი, რადგან სამინისტრო ურიცხავდა, რეალურად კიდევ უფრო მცირე რაოდენობა ხდებოდა დაწესებულების სტუდენტი, ვიდრე ჩარიცხული. იმისთვის, რომ დაწესებულებას მიეღო, პირობითად, 200 სტუდენტი, უნდა ჩაერიცხა 1000.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ითველბოდა სტატუსშეჩერებული სტუდენტებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე თოფურიამ დაადასტურა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ნათქვამი და დასძინა, რომ ზემოაღნიშნულთან ერთად დაწესებულებამ ასევე უნდა მიიღოს ქართველი სტუდენტებიც და სწორედ ამიტომ უნდა ჰქონდეთ დიდი ქვოტა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ეთანხმებოდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებას ფართებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირინა ლობჯანიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი ჰქონდა ფართების გაზრდის საკითხი, რადგან ამ ეტაპზე მაინცდამაინც არ შეიძლებოდა ეთქვათ, რომ ყველაფერი საკმარისი იყო 12000 სტუდენტისთვის, მათ შორის არ ჰქონდათ სტუდენტური საერთო საცხოვრებელი და სამედიცინო განათლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. შესაბამისად საჭიროებდა კიდევ გაუმჯობესებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე თოფურიამ განმარტა, რომ საერთო საცხოვრებელი ჰქონდათ გაწერილი სტრატეგიული გეგმით, თუმცა არც საერთო

საცხოვრებელი წარმოადგენდა აუცილებელ მოთხოვნას 12000 სტუდენტისთვის, რადგან, მაგ., თსუ-ს 2-ჯერ მეტი სტუდენტი ჰყავდა, მაგრამ ვერ დააკმაყოფილებდა იმდენ სტუდენტს საერთო საცხოვრებლით.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არცერთი უნივერსიტეტი არ აკმაყოფილებდა, თუმცა მინიმუმ 2 კვ.მ. უნდა უზრუნველყო დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე თოფურიამ განმარტა, რომ მოცემულ მომენტში არ არსებობდა აღნიშნული რეგულაცია განათლების სამინისტროდან და ეს მხოლოდ მათი შიდა რეგულაცია გახლდათ, თუმცა ექსპერტთა დასკვნაში ეწერა, რომ თვითშეფასებაში წარდგენილი კალკულაციით ამ ეტაპზე უნივერსიტეტი 1.98 კვ.მ.-ს უზრუნველყოფს.

საბჭოს წევრმა, მარინაქორიძემ, განაცხადა, რომ მან მაინც ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ფართის მოთხოვნას, თუმცა მისთვის გაუგებარი იყო, რადგან ამ ეტაპზე დაწესებულებას არც მოთხოვებოდა, საუბარი იყო წლიურ დინამიკაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამ კითხვაზე პასუხი მიიღო, როდესაც წლების მიხედვით ჩამოთვალეს სტუდენტთა რაოდენობა.

საბჭოს წევრი, მარინაქორიძე, დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლებს უცხოელ სტუდენტებთან დაკავშირებული რისკის შესახებ, რომ ჩარიცხული სტუდენტების გარკვეული პროცენტები არ ჩამოდიოდა. თუმცა სამინისტროს მხრიდან ჩარიცხული პირი დაწესებულებას სტუდენტად არ ეთვლება, მაგრამ რექტორის ბრძანების თანახმად ჩარიცხული სტუდენტების რაღაც პროცენტის დაკარგვის რისკი არის, რის გამოც დაწესებულება დაკარგავდა ადგილებს.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მისთვის ცნობილი იყო აღნიშნული რისკები, მაგრამ დაწესებულებას ჰქონდა საშუალება გაერიცხა და მის ქვოტაზე არ იმოქმედებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის მთავარი იყო ლავირების საშუალება, რათა იმ ვარიანტში, როგორი სამართლებრივი მექანიზმიც არსებობს ზუსტად ეს შეეძლო მოეთხოვა დაწესებულებას. ავტორიზაციის მთელი პროცესი გულისხმობდა საბჭოს მხრიდან შეფასებას, არა მხოლოდ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, არამედ იმ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, რომელიც დაწესებულების მიერ იყო წარმოდგენილი და ასახული იყო მისი ლოგიკა.

**საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:20 საათი**

**საბჭოს სხდომა განახლდა: 17:15 საათი**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 12000-მდე.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს 2 წლის თავზე განახორციელოს მონიტორინგი, სტუდენტების ეტაპობრივ ჩარიცხვასთან დაკავშირებით დაწესებულების სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე: 15

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტების, 103-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტს (ს/კ: 205037137) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 12 000-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 17:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ორჯონიკიძე ზურაბ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ტეფნაძე დავით

